92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ●გამოდის 1933 წლიდან ●№21-22 (7145) 10 ნოემბერი, 2025 წელი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში, გასულ თვეში, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, 4 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები იყო, რომლის წინა პერიოდში, მოსახლეობასთან ბევრი საინტერესო შეხვედრა ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერობის და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატებთან. სხვადასხვა აქტივობებით იყო გამორჩეული თვის დარჩენილი პერიოდიც. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრადიციული სახალხო დღესასწაული „თერჯოლობა—2025“ და ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა (დაწვრილებით დღევანდელ ნომერში).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში
ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა

30 ოქტომბერს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს (მე-6 მოწვევა) პირველი სხდომა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მეორე ვადით ახლადარჩეული მერი **მანუჩარ რობაქიძე** ესწრებოდა.

საკრებულოს პირველი სხდომა თერჯოლის № 49 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ **ნაზი სირაძემ** გახსნა. მან არჩევნების შედეგები შეაჯამა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების ერთიანი შემაჯამებელი ოქმი წარუდგინა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, დეპუტატებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ერთობლივი ძალისხმევით ისინი მრავალი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტის განხორციელებას შეძლებენ.

დღის წესრიგის შესაბამისად, წარმომადგენლობითი ორგანოს პირველ სხდომაზე ცნეს საკრებულოსა და საკრებულოს წევრების უფლებამოსილება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო 35 წევრით დაკომპლექტდა.

წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს! ☞2

შემოდგომის, შრომის და სიყვარულის დღესასწაული

☞6, 7, 12

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞3, 4

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეები



მეუფე გიორგი შალამბერიძე



ნიკო ბილანიშვილი

ნუგზარ გამყრელიძე

იორამ აბულაძე

ავთანდილ კოჩაძე

კონსტანტინე ჩარექიშვილი

ნიკა არაბიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში
ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა

1☞

ნაზი სირაძე, №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თავისი მოკლე გამოსვლა მისალმებით დაიწყო.

იგი მიესალმა საკრებულოს ახალარჩეულ წევრებს, მედიის წარმომადგენლებს, დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს მიულოცა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს—ახალი მოწვევის საკრებულოს წევრად არჩევა, შემდეგ მან თქვა:

„2025 წლის 4 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, გამჭვირვალე, მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში, კანონით განსაზღვრული ყველა ეტაპის დაცვით ჩატარდა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოხატვა და ყველა მონაწილე სუბიექტისთვის თანაბარი პირობების შექმნა. საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო ელექტრონული აპარატები ფართო მასშტაბით გამოიყენა, რაც კიდევ უფრო ზრდის პროცესის სიზუსტეს გამჭვირვალობასა და ნდობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა საჯაროდ, ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების, პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით. საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობა და დაკვირვება თავის მხრივ ხელს უწყობდა პროცესის გამჭვირვალობასა და საზოგადოების ინფორმირებას.

მადლობა თითოეულ ამომრჩეველს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და ყველა ჩართულ მხარეს—მათ შორის საარჩევნო კომისიების წევრებს, პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით შესრულებული საქმიანობისთვის.

საოლქო-საარჩევნო კომისიამ საბოლოო შედეგები 15 ოქტომბერს შეაჯამა. ახალი მოწვევის საკრებულო დაკომპლექტდა 35 წევრით—მათ შორის პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემებით არჩეული წარმომადგენლებით. თითოეული მანდატი ძალაში შევიდა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებიდან 2 კვირის თავზე, 29 ოქტომბერს.

გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში, მუნიციპალიტეტის და ქვეყნის განვითარებისთვის“.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

***

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეობა შემდეგ საკრებულოს უხუცესმა წევრმა თემურ ქოჩიაშვილმა გააგრძელა.

დღის წესრიგში იყო საკრებულოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, ფრაქციების და მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეების არჩევნები, რაც ფარული კენჭისყრით ჩატარდა.

სხდომაზე, ფარული კენჭისყრის შედეგად საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე **სოსო ჩაფიჩაძე** აირჩიეს, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ **დავით გოგბერაშვილი,** ხოლო მოადგილეების თანამდებობებზე - **ჯემალ ისაკაძე და სერგი ჯიხვაშვილი.**

შეიქმნა ორი ფრაქცია:

„ქართული ოცნება“ თავმჯდომარე - **გოჩა ვერულაშვილი**

„ხალხის ძალა“ თავმჯდომარე - **ომარ ჯიხვაშვილი**

კომისიის თავმჯდომარეებად არჩეული არიან:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ - **ზურაბ ჩხიკვაძე.**

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - **ბადრი ბუცხრიკიძე.**

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - **ლაშა ლანჩავა.**

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ - **ნინო ოქრუაძე.**

5 ნოემბერს ახლადარჩეული საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს ახლადარჩეული თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე ხელმძღვანელობდა. (დაწვრილებით შემდეგ ნომერში)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N გ-29.292530316

2025 წელი 30 ოქტომბერი ქ. თერჯოლა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-5, მე-6 ნაწილების, 33-ე მუხლის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 98-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი სოსო ჩაფიჩაძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ;

მუხლი 2. განკარგულება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

მუხლი 3. განკარგულება გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის;

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თემურ ქოჩიაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე (უხუცესი წევრი)

სოსო ჩაფიჩაძე

დავით გოგბერაშვილი

ჯემალ ისაკაძე

სერგი ჯიხვაშვილი

გოჩა ვერულაშვილი

ომარ ჯიხვაშვილი

ზურაბ ჩხიკვაძე

ბადრი ბუცხრიკიძე

ლაშა ლანჩავა

ბიძინა ბუცხრიკიძე

ნინო ოქრუაძე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

მანუჩარ რობაქიძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების შესრულებას 29 ოქტომბრიდან შეუდგა

აღნიშნულთან დაკავშირებით მეორე ვადით არჩეულმა მერმა განაცხადა:

დღეიდან ოფიციალურად შევუდექი თერჯოლის მუნიციპალიტეტის

მერის უფლებამოსილების მეორე ვადით შესრულების საპასუხისმგებლო საქმიანობას.

დიდი პატივისცემით, გულწრფელად ვუხდი მადლობას თითოეულ თერჯოლელს ნდობის, მხარდაჭერისა და იმ დიდი პასუხისმგებლობის მონიჭებისთვის, რომელიც თქვენგან მივიღე. თქვენი ნდობა არის მთავარი ძალა, რომელიც გვაძლიერებს და გვაძლევს მოტივაციას, კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით ვემსახუროთ ჩვენს მუნიციპალიტეტს.

მჯერა, რომ ჩემს ძლიერ, პროფესიონალ და ერთიან გუნდთან ერთად შევძლებ თითოეული დაპირების შესრულებას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის განვითარების, წინსვლისა და კეთილდღეობის განმტკიცებას. გადავდივართ ახალ ეტაპზე ღირსეული მიზნებით და პირობას გაძლევთ, რომ თერჯოლა ყოველდღიურად გახდება უფრო და უფრო განვითარებული ქალაქი.

ჩვენი ძალისხმევა გაგრძელდება მოსახლეობის უკეთეს მომავალზე ზრუნვაში, თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარებაში, სოციალური პროგრამების გაძლიერებაში, განათლებისა და კულტურის მხარდაჭერაში, დასაქმებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებაში.

თერჯოლა ყოველდღიურად განაგრძობს განვითარებას!

საცხოვრებელი სახლები სოციალურად დაუცველებს...

ოქტომბრის თვეში „თერჯოლობა 2025“-ის შემდეგ, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ლევან ზალკალიანი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროცესს გაეცნენ.

ახალი საცხოვრებელი სახლი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 9 უსახლკარო, სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცემა.

სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებისა და გაძლიერების მიზნით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ამ მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 400 000 ლარია გამოყოფილი.

ეს სოციალური პროგრამა, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის ნოვაციაა, მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან მუშაობს და ითვალისწინებს ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, ან შეძენას მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე სოციალურად დაუცველი პირებისთვის, რომელთა სახლები დაზიანების მასშტაბის გამო დემონტაჟს ექვემდებარება.

ამ პროგრამის ფარგლებში ახალი საცხოვრებელი სახლი უკვე 50 ოჯახს გადაეცა.

საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრი რევაზ სოხაძე სტუმრად თერჯოლაში

საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრმა მუნიციპალიტეტის მერთან, მანუჩარ რობაქიძესთან ერთად, ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლისა და ქ. თერჯოლის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. ხელმძღვანელმა პირებმა ყურადღება გაამახვილეს პროექტების კანონით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოების ხარისხიანად შესრულებაზე და კონტრაქტორ კომპანიებს გარკვეული მითითებები მისცეს.

თერჯოლაში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების თაობაზე ჩვენს მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

გოგნის ქარის ელექტროსადგური...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე „გოგნის ქარის კომპანიის“ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს მშენებლობის ტექნიკურ მხარეებზე.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე, ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატები და წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის”, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ. ქვესადგური უნდა აშენდეს.

მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სკოპინგის დასკვნა უკვე გასცა.

გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პროექტის განხორციელებას „გოგნის ქარის კომპანია” უზრუნველყოფს.

ცნობისათვის: ქარის ელექტროსადგურის ტურნირები ტყიბულისა და მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურასა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგნის საზღვარზე განთავსდება.

მდინარე ყვირილაზე ბარდუბანი-აჯამეთის ხიდის რეაბილიტაცია გადაუდებლად აუცილებელია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, სოფელ ბარდუბნის მოსახლეობას სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან და მერიის ინფრასტრუქტურული სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს მდინარე ყვირილაზე არსებული აჯამეთის ხიდის რეაბილიტაციის საკითხი, რომლითაც ოთხი სოფლის მოსახლეობა სარგებლობს.

მანუჩარ რობაქიძის თქმით, ხიდის განახლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ის ამ სოფლების მოსახლეობას აკავშირებს აჯამეთის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო სახნავ-სათეს მიწებსა და საძოვრებთან.

მერის განცხადებით, პირველ ეტაპზე საჭირო იქნება ინფრასტრუქტურული ობიექტის პროექტირება, რის შემდეგაც, შესაბამისი ვადების გათვალისწინებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება. განისაზღვრება შემდგომი ეტაპები—დაფინანსების მოზიდვა, ტენდერის გამოცხადება მშენებლობაზე და სხვა.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

სტუმრები ჩინეთიდან...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან დელეგაციას უმასპინძლა, რომლის შემადგენლობაში ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს კუეიჭოუს პროვინციის ექსპო ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლები არიან.

თერჯოლის მერთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული მიმართულებებით სამომავლო თანამშრომლობას, ასევე რეგიონის ბიზნესასოციაციებსა და ღვინის საწარმოებთან პარტნიორობას.

მანუჩარ რობაქიძემ საქართველო-ჩინეთის მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე გაამახვილა ყურადღება და სტუმრებს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის შესახებ ესაუბრა.

შეხვედრას იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი ნიკა კვერნაძე, იმერული ღვინის ასოციაციის ხელმძღვანელი ქეთევან ჯურხაძე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მერიაში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ, მანუჩარ რობაქიძემ ჩინეთის დელეგაციის წევრებს თერჯოლის მეღვინეობა „ხარება“ დაათვალიერებინა.

თანადგომა მრავალშვილიან ოჯახებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მრავალშვილიან ოჯახებს საყოფაცხოვრებო ნივთები გადასცა.

მანუჩარ რობაქიძემ სოციალური დახმარების ბენეფიციარი ოჯახები საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად მოინახულა.

სოციალური აქცია მერიის ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ორგანიზებით განხორციელდა.

თერჯოლის მერის ინიციატივით, მსგავსი ტიპის აქციები ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინტენსიურად ეწყობა და მოქალაქეების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამა უკვე მესამე წელია მოქმედებს და ამ დრომდე დახმარება 71-მა ოჯახმა მიიღო.

თერჯოლაში ვეტერანთა დღე აღინიშნა

17 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სამმართველოს თავმჯდომარე გიორგი ლილუაშვილთან ერთად, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ომის ვეტერანებს შეხვდა და ვეტერანთა დღე მიულოცა. შემდეგ ისინი ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად გმირთა მემორიალთან შეიკრიბნენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლები გაიხსენეს, მემორიალი გვირგვინით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

ვეტერანთა პატივსაცემად მოწყობილ ღონისძიებას მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერიის და საკრებულოს თანამშრომლები, ასევე ვეტერანები და მოქალაქეები დაესწრნენ.

საქართველოში ვეტერანის დღე -17 ოქტომბერი , 2014 წლიდან აღინიშნება.

„გმირის დღე“ დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ ინიცირებული პროექტის, („გმირის დღე“) ფარგლებში მოწყობილ ღონისძიებას დაესწრო.

ღონისძიება დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმში გაიმართა, სადაც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, როლანდ ისაკაძემ და ომარ ნიშნიანიძემ ორი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული თემა წარადგინეს („ბაგრატ მესამიდან ღვანკითელ ბაგრატიონებამდე“ და „დავით კლდიაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები“ განიხილეს).

პროექტი „გმირის დღე“ მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ კომპონენტებს და მიზნად ისახავს ისტორიული გმირების, ქართველი მწერლების, ლიტერატურული პერსონაჟების შესახებ ცოდნის გავრცელებას, ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებასა და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას ბავშვებსა და მოზარდებში.

თვალის უფასო აქცია

ქ. თერჯოლაში, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით და მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით, თვალის უფასო გამოკვლევები ჩატარდა. მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა მოქალაქეებმა ქუთაისის ადეიშვილის სახელობის თვალის კლინიკის ოფთალმოლოგების სხვადასხვა სახის გამოკვლევებით ისარგებლეს. სოციალურ აქციაში 80 -მდე მოქალაქე მონაწილეობდა.

ახლადარჩეული ხელმძღვანელების პირველი ერთობლივი მონიტორინგი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად ორი ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას გაეცნო. ეს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მათი პირველი ერთობლივი მონიტორინგი იყო.

სოფელ ღვანკითში მათ მოინახულეს ზოვრეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც აქტიურ ფაზაშია. პროექტი ხორციელდება რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

სამუშაოების ფარგლებში 1,6 კმ-იან მონაკვეთზე ეწყობა არმირებული ბეტონის საფარი. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 400 000 ლარს, ხოლო სამუშაოებს ასრულებს შპს „მეკა“.

ისინი ასევე იმყოფებოდნენ ქალაქ თერჯოლაში, ჯაბიძის ქუჩაზე, სადაც სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობს საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ღირებულება შეადგენს 198 000 ლარს, რომელსაც შპს „უნივერსალ ჯორჯია“ ახორციელებს. სამუშაოების შედეგად მოეწყობა 3000 მ² არმირებული ბეტონის საფარი და სანიაღვრე სისტემა.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგში მონაწილეობდნენ ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატები და მერის წარმომადგენლები.

მოწამეთობა. სოფელი ბარდუბანი

15 ოქტომბერი, 2025 წელი

სოფელ ბარდუბანში, საუკუნეზე მეტი ხნის წინ—1901 წლის სწორედ 15 ოქტომბერს, მოწამეთობას, ეკურთხა წმინდა დავით და კონსტანტინეს (მხეიძეების) სახელობის ტაძარი.

დღევანდელ ხანდაზმულ ბარდუბნელებს კარგად ახსოვთ, რომ ამ დღეს მათი წინაპრები, „ორწიფობას“ უწოდებდნენ, როგორც ჩანს სიტყვების კომბინაციით (ოქტომბერი-წიფობის თვე; ახალი კალენდრით თხუთმეტი ოქტომბერი — ძველით ორი ოქტომბერი).

როგორც წესი, ამ თარიღთან დაკავშირებით აქ ტრადიციულად აღევლინება სადღესასწაულო ღვთისმსახურება. ასე იყო გასული თვის 15 ოქტომბერსაც.

ამ დღეს, ბარდუბნის წმინდა დავით და კონსტანტინეს (მხეიძეების) სახელობის ტაძარში, სადღესასწაულო ღვთისმსახურება ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტმა მეუფე გიორგიმ აღასრულა.

წირვის დასრულების შემდეგ მოეწყო საზეიმო ლიტანიობა. მეუფე გიორგიმ მიმართა შეკრებილ მრევლს. მან დალოცა სოფელ ბარდუბნის მკვიდრნი, მიულოცა ტაძრის დღესასწაული.

ღვთისმსახურებას ესწრებოდა თერჯოლის მუნიციპალიეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე.

P.S. ჩვენი გაზეთით სხვადასხვა დროს რამდენჯერმე გაჟღერდა საინტერესო წინადადება, რომ კარგი იქნებოდა თუ ბარდუბნელთა საერთო გადაწყვეტილებით 15 ოქტომბერი, ანუ მოწამეთობა ანუ ტაძრის დღე ანუ იგივე ორწიფობა თუ გამოცხადდებოდა სოფლის საერთო სადღესასწაულო დღედ.

ამ აზრს ბევრი იქაური იზიარებს, თანახმაა ტაძრის წინამძღოლი მამაო ამირანი და ტყიბული-თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე გიორგი.

ვფიქრობთ, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ ეს მალე გადაწყდება და პირველად აღინიშნება მომავალ წელს, ტაძრის კურთხევიდან 125-ე წლისთავისათვის.

დავით კლდიაშვილი

რა უნდა ვიცოდეთ ქონების გადასახადის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია ფიზიკური პირების მიერ ქონებრივი გადასახადის აუცილებლად ნოემბრის თვეში გადახდის თაობაზე.

როგორც შევიტყვეთ, ამის შესახებ ბევრმა მოქალაქემ შესაბამისი მესიჯიც კი მიიღო შესაბამისი სტრუქტურიდან.

საზოგადოებაში გაჩნდა უკმაყოფილების მუხტი, განსაკუთრებით მრავალსულიან ოჯახებში, რომელთა ჯამური შემოსავალი 40 ათას ლარს აღემატება წელიწადში.

თავიდანვე განვმარტავთ, რომ ამ თემაზე არავითარი ახალი კანონი ბოლო წლებში არ მიღებულა, ყველაფერი პრაქტიკულად თითქმის იგივეა, როგორც წლების წინ მიღებულ კანონში.

გაზეთი „თერჯოლა“ მომავალი ნომრიდან შემოგთავაზებთ კანონთან დაკავშირებულ განმარტებას, კანონის სხვადასხვა მუხლების კომენტარებს.

გაგაცნობთ თუ როგორ უნდა შევავსოთ ქონებრივი დეკლარაცია, როგორი და რა მოცულობისაა ჯარიმები, რაც წესდება როგორც მათი გაყალბებული შედგენის ან წარუდგნელობის დროს, რა შემთხვევაში დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ა.შ.

თერჯოლელი ახალგაზრდების მწვრთნელი— სპორტსმენი

ირაკლი ღონღაძეს კარგად იცნობენ თერჯოლა-ზესტაფონში და არა მარტო...

იგი ნაყოფიერ სამწვრთნელო მუშაობასთან ერთად მოქმედი სპორტსმენია კარატეში და იქაც წარმატებული.

საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ნაკრების წევრის, ირაკლი ღონღაძისათვის განსაკუთრებული იყო შარშანდელი წელი, როცა იგი ევროპის ჩემპიონი გახდა საფრანგეთში. მართალია, წლევანდელ WUKF-ის ევროპის მე-15 ჩემპიონატზე ქალაქ რიგაში, სადაც 2000-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, ირაკლიმ აბსოლუტურ კატეგორიაში მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა, მაგრამ ის თავის შესაძლებლობებში დარწმუნებულია და სამომავლოდ მნიშვნელოვან წარმატებებს გვპირდება.

სპორტსმენმა პრაქტიკულად უკვე დაიწყო მზადება 2026 სპორტული წლისთვის, სადაც მისი ორიენტირი იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და რუმინეთში ჩასატარებელი სამი მაღალი რანგის ტურნირია—ევროპის, მსოფლიოსა და აზიის ჩემპიონატები.

წარმატებებს ვუსურვებთ ირაკლის ამ ტურნირებში, როგორც სპორტსმენს და ასევე წარმატებებს ვუსურვებთ მას, როგორც ჩვენი ახალგაზრდა თაობის მწვრთნელს...

იმედია, რომ მწვრთნელ-შეგირდები ბევრჯერ გაგვახარებენ!

შემოდგომის, შრომის და სიყვარულის დღესასწაული

ქალაქ თერჯოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზე, ადრევე გაჩნდა წარწერა „გილოცავთ თერჯოლობას“. ინფორმაცია, 2025 წლის 18 ოქტომბერს, სახალხო ზეიმის „თერჯოლობის“ ჩატარების თაობაზე გაავრცელა მრავალმა საინფორმაციო საშუალებამ. ალბათ, ამიტომაც ვეღარ იტევდა თერჯოლა მოწვეულ სტუმრებს, რაიონიდან წასულ ცნობილ სახეებს, სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში დროებით მცხოვრებ თერჯოლელებს...

ნაცნობ-უცნობი ერთმანეთს ესალმებოდა, ეფერებოდა და ულოცავდა ამ ლამაზ დღეს. ერთად ყოფნას და სიყვარულს ზეიმობდა თერჯოლა...

ადრე დაიკავეს თავიანთი ადგილები თბილისიდან, ქუთაისიდან, წყალტუბოდან, საჩხერიდან, ბორჯომიდან, ხაშურიდან, სურამიდან ჩამოსულმა მეწარმეებმა, რომლებიც ნაირ-ნაირ პროდუქციას სთავაზობდნენ ზეიმის მონაწილეებს.

ხალხმრავლობა იყო, მაგრამ ცხადია, სჭარბობდნენ თერჯოლელები, ოჯახიდან ერთი მაინც იყო მოსული, რადგან თერჯოლელი, სადაც არ უნდა ყოფილიყო—საწნახელში, ყურძნის კრეფაში, ზვინს დგამდა, სიმინდს ფშვნიდა თუ ჩურჩხელას ავლებდა, სულ ერთია—მაინც აქ იყო, ამ ზეიმზე...

კარგ დროს დაემთხვა წლევანდელი „თერჯოლობა“. საზოგადოებას აღარ ეტყობოდა წინა საარჩევნო ფორიაქი და მოლოდინი...

დილიდანვე მოვიდნენ მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელები, მერიის სამსახურის წარმომადგენლები, იყო ერთგვარი სასიამოვნო „არეულობა“ და კუთხე-სივრცეების მოწყობა, აქა-იქ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები ალამაზ-ახალისებდნენ ისედაც ამაღლებულ განწყობილებას.

თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, მაგრამ არც იყო. ბევრი სიახლე შემატეს „თერჯოლობას“ ღონისძიების ორგანიზატორებმა, იმერეთისათვის დამახასიათებელი პეწი და სილამაზე, ყველა ადათ-წესი და ჩვევა დაიტია ერთ დღეში თერჯოლამ.

ულამაზეს სკვერში და მიმდებარედ...

ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერი და მიმდებარე ტერიტორია მთლიანად ჰქონდა მოცული სხვადასხვა სახის ატრაქციონებს, ინდმეწარმეებს, გასართობ საშუალებებს, შემოქმედებით კუთხეებს, საგამოფენო სივრცეებს, ხელნაკეთ ნივთებს, რეწვის ოსტატებს, ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენებს...

ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა სახის მუსიკალურმა თუ მხატვრულმა გამოსვლებმა, საზეიმო მსვლელობამ ცხენოსნებით და ფაიტონით, მეარღნეებმა, ილუზიონისტებმა, ფერადი საპნის ბუშტების შოუმ, სახის მოხატვამ, ატრაქციონებმა.

ყველას თავისი კუთხე ჰქონდა მიჩნეული, მიმზიდველად და საინტერესოდ იყო წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერია, კულტურის განყოფილება, ტურიზმის სფერო, მოსწავლეახალგაზრდობის ცენტრი, სამხატვრო სკოლა, ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი, კერძო სკოლა „მზეკაბანი“...

* * *

მნახველს ვერ იტევდა სახელდახელოდ მოწყობილი ხალიჩა და მოჭიდავეები, აქ ჭიდაობის დაწყებამდე შეიკრიბა ხალხი...

* * *

საჩხერელმა ვანო ვაჭრიძემ „ვანოს ბაღის“ საოჯახო ბიზნესის ხელმძღვანელმა, „უთვალავი“ ქოთნის ყვავილი გაყიდა, ხასხასა, ნაირ-ნაირი და ლამაზი.

* * *

ცაცხვის ძირში მიბმულმა ვერძმა ბევრს გაახსენა კოლხური ოქროს საწმისი და ძველი ბერძნები, კოლხეთის მშვენიერი ასული. საუკუნეებია პასუხი არ გაეცა კითხვას—„დაგწამეს თუ ჩაგადენინეს ქვეყნად უმძიმესი ცოდვა“.

* * *

მთელი დღე ფქვავდა ავთო მაკარიძის წისქვილი, მთელი დღე ბრუნავდა მისი მომცრო ქვა და ქვეშ იყოლებდა თეთრ, ქათქათა სიმინდს.

ბარდუბნელი დემურ კლდიაშვილი ბევრს ექიმი ეგონა, თეთრი ხალათი ეცვა და თეთრი ქუდი ეხურა, „მოწვეული“ ვარო ამაყობდა და თავს დასტრიალებდა ფქვის პროცესს. **„და სარეკელას მადლიან ენით წისქვილი ჰყვება მოსავლის ამბავს“**—გაიხსენა თეა ქემოკლიძემ ლადო ასათიანი.

* * *

მრავალფეროვნად და განსხვავებულად წარმოადგინა თავისი კუთხე თავისივე პატარა სივრცეში, სილამაზის სალონმა „სოფიანამ“. „სილამაზის სალონის საიდუმლო“—დაიმშვენეს კუთხე ამ წარწერით, მაგრამ „საიდუმლოს“ რომ არ ამხელენ...

* * *

„ცხენებიც ჩემია და ფაიტონიცო“—თქვა წყალტუბოელმა იროდი ჩიტეიშვილმა, „ჰე, არღანო ჩემო კუკლაო“—იმეორებდა მეარღნე მამუკა საგნიძე და ხალისობდა ხალხი. იროდის ჰყავს მომავალი მეფაიტონე—შვილი ვაჟა.

* * *

ტრადიციულად, ჩოხაში გამოწყობილი, „თერჯოლობის“ უხუცესი მონაწილე ალექსანდრე ცქიფურიშვილი შვენოდა ზეიმს.

* * *

ხმაურსა და არღანის სასიამოვნო ხმაში შერვაშიძეობა „დავაბრალე“ ქუთაისელ გელა შარვაშაძეს, მაგრამ ნაცნობებმა არ აპატიეს — არ არის თავადიო. შარვაშაძეა თუ შერვაშიძე — კარგად კი უკრავდა და...

* * *

და ვერ გააჭენეს ცხენოსნებმა ცხენები, ტაატით, ნელა-ნელა, მძიმედ მიმოდიოდნენ თერჯოლის ცენტრში ცხენ-ცხენოსნები, მსურველ გოგო-ბიჭებს ასეირნებდნენ...

* * *

ისინჯებოდა, იყიდებოდა ხელთნაკეთი ნაწარმი, ყველა სიამოვნებით აგემოვნებდა წარმოდგენილ კვების პროდუქტებს. სანახაობრივი და მიმზიდველი იყო მსვლელობა ცხენოსნებით და ფაიტონით, რიგი ედგათ ილუზიონისტებს, მეარღნეებს, ძველებური „კუკუშკების“ მოძრაობას. დამთვალიერებელი არ ელეოდა ნორჩი მხატვრების ნახატების გამოფენას, სხვა შემოქმედებით კუთხეებს.

* * *

დაბალი მაგიდა და ორიოდე სკამი ედგა პედაგოგ მაია გოგბერაშვილს, მაგიდაზე იდო შვიდი ათეული წლის კალამი, სამელნე... დიდ საქმეს აკეთებს ქალბატონი მაია—ახალგაზრდებს კალმით წერის ხელოვნებას აზიარებს, რითაც მოსწავლეებს აგრძნობინებს ემოციებს, რაც ეუფლებათ გადამწერებს ხელნაწერი ტექსტების შექმნისას. დამთვალიერებელ ასაკოვან ადამიანებს ბავშვობა გაახსენდათ—კალმით, მელნით რომ წერდნენ ის დრო...

☞7



შემოდგომის, შრომის და სიყვარულის დღესასწაული

6 ☞

სოფლების წარმომადგენლობა, სოფლის ნობათით...

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს მესამე წელია ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში „თერჯოლობის“ ღონისძიებისათვის თავიანთი კუთხეები აქვთ მიჩნეული. სოფლების წარმომადგენლებს დილიდანვე მსუბუქი ავტომანქანებიდან, მიკროავტობუსებიდან გადმოჰქონდათ ნაირ-ნაირი სურსათ-სანოვაგე, მრავალნაირი ღვინო—„ღმერთების სასმელი“, თონეები, მაყალი, ღვინის გადასაღები მოწყობილობები, კეცები, მომცრო ჭურები, დოქები, სართავ-საქსოვი დანადგარები, ჭედური ნივთები, შემოდგომის ყველა სახის ნობათი და როცა სტადიონიდან ხელმძღვანელმა მუშაკებმა და სტუმრებმა სკვერში გადმოინაცვლეს, თერჯოლის ცენტრი მთლიანად იყო გახვეული მაყალის კვამლში, მწვადის, ჩურჩხელებისა და ფელამუშის სურნელში.

* * *

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილი, მოწვეული სტუმრები ყველა კუთხესთან მივიდნენ, მოიწონეს თითოეული სოფელი, თავისი განსაკუთრებული ნიშნით წარმოდგენილი, სიუხვე, სოფლის ხელმძღვანელის, სკოლისა და საბავშვო ბაღის, სოფლის აქტივის ერთიანი თანამოღვაწეობა. დალოცეს სოფლების მცხოვრებნი და სამადლობელიც უთხრეს თანადგომისათვის, სიყვარულისათვის.

* * *

თამადა—ქართული სუფრის მშვენება—აქ არ არჩეულა, ყველა სოფელს თავისი ჰყავდა, რადგან თავისი სუფრა ჰქონდა, იყო გადაპატიჟებ-გადმოპატიჟება, სინჯავდნენ ერთმანეთის ღვინოს, იწონებდნენ, მაგრამ თავისას აქებდნენ, დამთვალიერებლები აღიარებდნენ, რომ ყველა კუთხე თავისებურად გამორჩეული იყო.

სახალხო ზეიმის მნიშვნელოვანი ნაწილი

თერჯოლაში ღვინის რამდენიმე ჯიშია გავრცელებული და როგორც არ შეიძლება ქართული ტაძარი უორნამენტოდ და უჩუქურთმოდ, ისე არ შეიძლება საქართველო ვაზის გარეშე. თერჯოლელმა მევენახემ იცის ვენახის და ღვინის ფასი, როგორც წყარო შემოსავლის და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის, სწორედ ამიტომ არის „თერჯოლობის“ ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილი ღვინის ფესტივალი, დარგის მიღწევების ჩვენება, დადასტურება, რომ მევენახეობა-მეღვინეობას ყოველთვის ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

სწორედ ამის გამო იყო, რომ თერჯოლაში, წლების წინ, დაწესდა ღვინის დღესასწაული, რომელიც შემდგომში ორგანულად შეერწყა „თერჯოლობას“ და როგორც წესი, ყოველ ამ დღესასწაულზე, ჩვენი სომელიები არკვევენ თუ ვინ და რომელი მევენახის ღვინომ გაიმარჯვა სხვადასხვა ნომინაციაში.

* * *

ღონისძიებამ სახელდახელოდ მოწყობილ სივრცეში გადაინაცვლა. წამყვანები ნანა ამირანაშვილი და ომარ ჯიხვაშვილი მიესალმნენ სტუმრებს: თერჯოლისა და ტყიბულის მიტროპოლიტს, მეუფე გიორგი შალამბერიძეს, საქართველოს პარლამენტის წევრს ზვიად შალამბერიძეს, ეკა სეფიაშვილს, თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გია გიორგაძეს, იმერეთის მხარის გუბერნატორს ბატონ ლევან ზალკალიანს, მხარის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, მის მოადგილეებს: მამუკა ხიმშიაშვილს, გრიგოლ დალაქიშვილს, სამსახურის ხელმძღვანელს დავით გორდელაძეს, იმერეთის მუნიციპალიტეტის მერებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს, რეგიონის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს ლევან როხვაძეს, რეგიონის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელს რეზო რობაქიძეს, თერჯოლის საპატიო მოქალაქეებს გივი ლობჟანიძეს, მარლენ სულამანიძეს, კოლორიტ თერჯოლელებს, მათ ვინც მუდამ თერჯოლელთა გვერდითაა...

* * *

წამყვანებმა მმართველ პარტიას კიდევ ერთხელ მიულოცეს წარმატება და თქვეს: „ჩვენ მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ გვსურს მშვიდობა, განვითარება. ქართველთათვის ძვირფასია წმინდა სამება: „მამული, ენა, სარწმუნოება“. მუნიციპალიტეტის მერად ჩვენ მეორე ვადით ავირჩიეთ ღირსეული, ყველა თერჯოლელისათვის საყვარელი ადამიანი, ბატონი მანუჩარ რობაქიძე. ვულოცავთ საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს, მათ გაიმარჯვეს მუნიციპალიტეტის ყველა საარჩევნო უბანში“.

საკონცერტო ნომრები

სცენა პირველმა ქართულმა ფოლკლორმა დაიკავა. ერთმანეთს ცვლიდნენ: ანსამბლი „იმერეთი“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“ (ქორეოგრაფები: გოჩა ჭანკვეტაძე, ირინა ბუცხრიკიძე, თამუნა და გიორგი ჭანკვეტაძეები), ანსამბლი „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე), მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ანსამბლი „ბერიკონი“ (ქორეოგრაფები: ზაურ სვანიძე, ვიტალი და მანუჩარ ლაღაძეები), ანსამბლი „იამე“, ანსამბლი „საპოვნელა“ (ქორეოგრაფები: ირინა ბუცხრიკიძე, თამუნა და გიორგი ჭანკვეტაძეები).

ღვინის კონკურსი—დაჯილდოება

სცენაზე მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გია ბარათაშვილი, მათ ნომინაციაში გამარჯვებულებს სპეციალური საჩუქრები და დიპლომები გადასცეს. ნომინაციებში კი გაიმარჯვეს: თერჯოლაში ფართოდ გავრცელებულმა უნიკალურმა ჯიშებმა და მწარმოებლებმა: **ცოლიკაური—ცოტნე გიორგაძე (ძევრი), ციცქა—ირაკლი კუბლაშვილი (ღვანკითი), შერეული—ბადრი ბუცხრიკიძე (ალისუბანი), განსხვავებული—გოჩა მემანიშვილი (სიქთარვა), წითელი ღვინო—გოჩა ვერულაშვილი (ბარდუბანი), ქვევრის ღვინო—რამაზ ნიკოლაძე (ნახშირღელე).**

* * *

შრომას, სტუმარ-მასპინძლობას, თერჯოლას მიეძღვნა სიმღერა, რომელიც შეასრულეს ნათია მოსიაშვილმა და ნიკა არაბიძემ. შემდეგ სცენა დაეთმო მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ფოლკლორულ ანსამბლს „იმერი“ (ხელმძღვანელი ბესო გოგოლაშვილი), ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ბერიკონი“.

საამაყო სპორტსმენები

თერჯოლას ჰყავს ევროპის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში ქეთევან ბუცხრიკიძე, მსოფლიოს და ევროპის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში ლუკა ნიქაბაძე. მსოფლიოს ჩემპიონი მკლავჭიდში ლუკა ცინაძე, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორები მკლავჭიდში, რევაზ თევდორაძე და ანზორ ბაროკიშვილი.

საუბარი იყო განათლებისა და კულტურის სფეროში არსებულ მიღწევებზე.

☞ 12

ხათუნა გურული „მიქელანჯელო—წლის ხელოვანი 2025“-ის გამარჯვებულია

თბილისში „თბილისი მარიოტში“ 25 ოქტომბერს, სახელწოდებით: „მიქელანჯელო—წლის ხელოვანი 2025“ მესამე საერთაშორისო პრემიის დაჯილდოება გაიმართა. ღონისძიება თანამედროვე ქართველი ხელოვანებისა და მხატვრების გამორჩეულ მიღწევებს ეძღვნება, რომელთაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა თავიანთი ნამუშევრებით მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ გამოფენაში.

პროექტი წლებია ქართული და იტალიური კულტურული თანამშრომლობის ფარგლებში იმართება, რომლის მიზანიც ორ ქვეყანას შორის კულტურული დიალოგის გაღრმავებაა და ამასთან ქართველ შემოქმედთა ნამუშევრების პოპულარიზაცია...

პროექტის ორგანიზატორები არიან დიანა რევაზიშვილი და ნინო რევაზიშვილი.

ქართულ-იტალიური პროექტის „მიქელანჯელო—წლის ხელოვანი 2025“-ის გამოფენა-დაჯილდოების ცერემონიას ინტერესით და საუკეთესო შედეგის მოლოდინით ადევნებდა თვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და მოქალაქეები, როგორც პროექტის მონაწილე თერჯოლელთა მხარდამჭერი და გულშემატკივრები, შედეგიც საამაყოა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ხათუნა გურული „მიქელანჯელო—წლის ხელოვანი 2025“-ის ლაურეატის პრემიის მფლობელი გახდა და იგი შესაბამისი პრიზით და დიპლომით დაჯილდოვდა.

გამოფენაში მონაწილეობისათვის დიპლომი გადაეცა აგრეთვე ანა გოგიაშვილს (ქარგვა), ორივე შემოქმედის ნამუშევრები „მიქელანჯელო—წლის ხელოვანის 2025“-ის კატალოგში განთავსდება.

„მიქელანჯელოს“ საერთაშორისო დაჯილდოება-გამოფენის ცერემონიას თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან დაესწრნენ: მაკა ასათიანი—მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ელისო მურადაშვილი—თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დირექტორი, საკრებულოს წევრი, ნინო ოქრუაძე—მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი, საკრებულოს წევრი, თეა მაცაბერიძე—თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ნატო კვეტენაძე—თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, საკრებულოს წევრი.

„მიქელანჯელო—წლის ხელოვანი 2025“-ის მესამე საერთაშორისო გამოფენა-დაჯილდოების მონაწილეებს შეხვდა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, რომელმაც წარმატება მიულოცა და აღნიშნა, რომ თერჯოლელი ხელოვანების მიღწევები, განსაკუთრებით საამაყო და მისასალმებელია...

თავის მხრივ ხათუნა გურულმა და ანა გოგიაშვილმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, პროექტის ორგანიზატორებს და თითოეულ მათგანს, ვინც მათი სიხარული და წარმატება გაიზიარა.

ხათუნა გურულის „კოლექციაში“ არაერთი ჯილდოა, რომელიც მან თავისი თითქმის 20-წლიანი შემოქმედებითი საქმიანობისა (თექა, გობელენი, ფერწერა) და მოსწავლეთა მიერ ამ სფეროში მიღწეული შედეგებით დაიმსახურა, მხოლოდ გასულ, 2024 წელს ხათუნა გურულს მიღებული აქვს ბავშვთა საერთაშორისო ფონდის სერთიფიკატი ბავშვთა საერთაშორისო ფონდის მიერ ორგანიზებულ პედაგოგ მხატვართა ნახატების პირველ ციფრულ გამოფენაში მონაწილეობისათვის. აგრეთვე მადლობის სერთიფიკატი ნობელისა და ოსკარის სამხატვრო აკადემიიდან, საერთაშორისო ონლაინ ჯილდოები: არგენტინიდან, საბერძნეთიდან, გერმანია-რუმინეთიდან, ესპანეთიდან...

ნამდვილად საამაყოა აგრეთვე ამერიკიდან მიღებული „ხელოვნების ღირსების მოწმობა“ და მსოფლიო ხელოვანთა ასოციაციისაგან: „მსოფლიო ხელოვნების ვარსკვლავის“ წოდების მინიჭება... იყო კიდევ სხვადასხვა ჯილდოები, რომელიც დააგვირგვინა წლევანდელმა „მიქელანჯელოს“ ლაურეატის პრემიამ...

ახალ წარმატებებს დაველოდებით ძვირფასო ქალბატონებო!

მზია ცქიფურიშვილი

ჩვენი გაზეთის წინამორბედის ყოფილ რედაქტორს, ჩვენს კოლეგასა და მეგობარს, ნუგზარ გამყრელიძეს თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა. ყველამ გავიხარეთ.

გთავაზობთ მის სამადლობელ სიტყვას თერჯოლობის სახალხო დღესასწაულზე.

მოგესალმებით, ჩემო თერჯოლელებო!

ეს დღე ჩემთვის გამორჩეულია!

იყო შენი ქალაქის საპატიო მოქალაქე, ამაზე მაღალი ჯილდო აბა, რა უნდა იყოს!

ბატონო მანუჩარ, ბატონო გიორგი, ძვირფასო თერჯოლელებო, მადლობას გიხდით ამ დაფასებისათვის. გილოცავთ დღევანდელ დღეს და წარმატებულ არჩევნებს.

მჯერა, ახლა გაზეთ „თერჯოლის“ კოლეგა-რედაქციელები და მკითხველები მისმენენ და ხარობენ. მრავალი წლის განმავლობაში ხომ ერთად ვწერდით ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიას. მადლობას ვუხდი ჩვენს ქალაქს ნდობისთვის.

გულითადად ვულოცავ და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ საპატიო თერჯოლელებს, რომელთაც დღეს მიენიჭათ ეს წოდება.

ჩემო თერჯოლელებო, მიყვარხართ და მადლობას გიხდით!

ნუგზარ გამყრელიძე,
18. 10. 2025

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან

სახელმწიფო ასპროცენტიანი გრანტის მფლობელნი

ლიზი ბუცხრიკიძე — თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, ჩაირიცხა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.



საბა კვახაჯელიძე—კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“, ჩაირიცხა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

ანდრეა გაბრიჭიძე—თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

ირაკლი სულაბერიძე—ჭოგნარის საჯარო სკოლა, ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, გეოლოგიის ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

ქართველი ერის მარადცოცხალი მამა

„მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა“

8 ნოემბერი—ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეა

ქართველი ერის უკვდავ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ილია ჭავჭავაძეს აქვს დამკვიდრებული, რაც განპირობებულია იმ მრავალმხრივი სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობით, რომელსაც თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა.

დიდი პუბლიცისტის, კრიტიკოსის, ლიტერატურათმცოდნის, ისტორიკოსის, სოციოლოგის, მოაზროვნის, ქართველთა განმანათლებლის, ერის მოჭირნახულისა და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროშის სახელი საქართველოში არასოდეს არ დაიბინდება. იგი მუდამ თანამედროვეა, ჩვენს გვერდითაა და გაჭირვებისას თუ დალხინებისას გვმოძღვრავს და გზას გვიჩვენებს უკეთესი მომავლისაკენ...

„ილია ჭავჭავაძე სინთეზია ეპოქის. მისი ნაწერების შესწავლა, შესწავლაა დიდი ეპოქის, ვამბობ დიდის ეპოქის, რადგან მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნო და იპოვა თავისი დაკარგული სახე. ილია ჭავჭავაძე ამ შობიერების ბებიაც იყო, ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმდგენელიც. ილიას ზრახვათა შეგნება შეგნებაა ზრახვათა მეორედ შობილ და ახლად აღორძინებულ ქართველის ერისა. ამ ზრახვაში სიდუხჭირეც არის, სიხარულიც წარსულის გადმოცემული, შეცდომანი და შეცოდებანი აწმყოთი მოვლინებული, ამ ზრახვებში ნათელი იმედიცაა მომავლისა“...

არჩილ ჯორჯაძე

„წინამურთან რომ მოკლეს ილია...“

118 წლის წინათ, საგურამოსკენ, მეუღლესთან ერთად ეტლით მიმავალი 1907 წლის, ძველი სტილით, 30 აგვისტოს წინამურთან მოკლეს ილია. სრულიად საქართველოს დასცა თავზარი მისმა ავაზაკურმა მკვლელობამ. დამწუხრებულმა და გულმოკლულმა ერმა გააცილა იგი სამუდამო განსასვენებლისაკენ. ილიას საქართველოს მტრებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე. „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ საქართველოს მოკლავდნენო“—ბრძანა მაშინ ვაჟა-ფშაველამ.

ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი ქედს იხრის და მუხლს იდრეკს დიდი ილიას ხსოვნის წინაშე. ეს მცირეოდენი პუბლიკაცია კი მის გახსენებას ეძღვნება.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა ყვარელში, 1837 წელს, გაღარიბებული თავადის ოჯახში. 10 წლისას დედა გარდაეცვალა, 15 წლისას—მამა. დაობლებული ილიასა და მისი და-ძმების მოვლა-პატრონობა მამიდან, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავმა იკისრა. ილია ჯერ კერძო პანსიონში, შემდეგ კი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა.

სტუდენტობის 4 წელი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი, როგორც პიროვნებისა და მწერლის ფორმირებისა და სრულყოფისათვის. იგი იმთავითვე ინტენსიურად და საფუძვლიანად სწავლობდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობას, რუს და ევროპის მწერალთა და მეცნიერთა შემოქმედებას. ამ წლებში გამოძერწა მან „აჩრდილი“, „ქართლის დედა“, „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“, პოემა „კაკო ყაჩაღი“.

ამავე პერიოდს განეკუთვნება როგორც პოეტური თარგმანები: შილერის, ჰაინეს, ბაირონის, სკოტის, პუშკინის, ლერმონტოვის ნაწარმოებებისა და სატრფიალო ლირიკის უდიდესი ნაწილი, ასევე საყოველთაოდ ცნობილი ლექსები: „ხმა სამარიდამ“, „გუთნის დედა“, „ქართლის დედას“, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „მუშა“, „იანიჩარი“, პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშები: „მესმის, მესმის“, „გაზაფხული“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“.

ილიას მიერ დაარსებული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, მიუხედავად უმძიმესი საცენზურო პირობებისა, ეროვნულ განძად, მოძრაობის ჭეშმარიტ მედროშედ იქცა.

ხელმოკლეობის გამო საარსებო სახსრების მოპოვების მიზნით ილიამ მუშაობა დაიწყო ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა, შემდეგ საქართველოს საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით—მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში. 1868-1873 წლებში მუშაობდა დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ.

ამ ხანებში დაწერა მან „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროებითი სცენები“, გადაამუშავა „ქართვლის დედა“, „აჩრდილი“, დაასრულა მუშაობა დიდი ხნის წინ მოფიქრებულ „მგზავრის წერილებსა“ და „გლახის ნაამბობზე“. ამავე პერიოდში შეიქმნა მწვავე სატირული ლექსები: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, და „ბედნიერი ერი“, ქართული პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქმნილებათაგანი—„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“, სატირულ-პუბლიცისტური ლექსები: „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და „პასუხის პასუხი“.

ილია ჭავჭავაძის საფლავი მთაწმინდაზე

1873 წლიდან თბილისში დამკვიდრებული ილია აქტიურად ჩაება ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1881 წლიდან ილია ჭავჭავაძე იყო მისივე ინიციატივით დაარსებული დრამატულ სანახაობათა საზოგადოების თავმჯდომარე, 1879 წლიდან 1885 წლამდე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, 1877 წელს დააარსა პერიოდული გამოცემა „ივერია“, რომელიც სამი ათეული წლის მანძილზე საქართველოს ეროვნულ-სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო.

1878 წელს ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“, ამავე დროს დაასრულა ისტორიული თემა „დიმიტრი თავდადებული“. 1882-1883 წლებში შეიქმნა ფილოსოფიური შინაარსის პოემა „განდეგილი“, რომელშიც მხატვრული ხერხით დაგმობილია ქვეყნისაგან, ცხოვრებისაგან განდგომა, ადამიანის დანიშნულებად და მოვალეობად დასახულია ამა სოფლისათვის ზრუნვა.

ქართველი ერის აღორძინების იმედითაა გამსჭვალული ილიას ლექსი „ბაზალეთის ტბა“.

რეფორმის შემდეგდროინდელი ქართული სინამდვილეა ასახული ილიას თხზულება „ოთარაანთ ქვრივში“, რომელშიც ქართველი დედის ქედუხრელი სახეა ნაჩვენები.

ილიამ თავის პუბლიცისტურ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდი ადგილი დაუთმო სახალხო განათლებისა და მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებს, რამაც ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული პედაგოგიური მეცნიერებისა და ქართული სახალხო ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების საქმეში.

დიდი ილია მკაცრად აკრიტიკებდა ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას. იგი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური ეროვნების ბურჯის, ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლას მჭიდროდ უკავშირებდა მშობლიურ ენაზე სწავლების, სახალხო სკოლების ქსელის ზრდის მოთხოვნებს, რაც პროგრესული დემოკრატიული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. იგი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა მასწავლებლის პიროვნებას და მის პირად მაგალითს.

ყოველთვის აქტუალურია ილიას შეხედულებები ოჯახში აღზრდის შესახებ: „გაზრდა შვილისა ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ“.

ფასდაუდებელია ილიას ღვაწლი საქართველოში პროფესიული და უმაღლესი განათლების ორგანიზაციისა და ქალთა უმაღლესი განათლების განხორციელების საქმეში. იგი ზრუნვას და შემწეობას არ აკლებდა უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს.

ილია იყო არა მარტო მხატვრული სიტყვის დიდოსტატი—პოეტი, პუბლიცისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, არა მარტო სალიტერატურო ენის რეფორმატორი და კანონმდებელი, ქართული რეალისტური კრიტიკოსი და მებრძოლი პუბლიცისტიკის ფუძემდებელი, არამედ ასევე დიდი მასშტაბისა და ფართო დიაპაზონის მკვლევარი, რომლის ინტერესები მეცნიერების არაერთ დარგს მოიცავდა. მისი პრაქტიკული მოღვაწეობა კი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან უბანს სწვდებოდა და მათ წარმატებაში უაღრესად დიდ როლს ასრულებდა.

ილია ერთნაირი ოსტატობით ხმარობდა კალამს და ბანკირის საანგარიშოს. ეს ბედნიერი შერწყმა ანიჭებს მას განსაკუთრებულ ადგილს საქართველოს ისტორიაში.

ხალხური სიბრძნისათვის დამახასიათებელი უბრალოებით და სიცხადით გამოთქვამდა ილია არსებობის მარადიულ წესს: „წუთისოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“...

ილიას ცხოვრებისა და საქმიანობის აზრი და მიზანი საქართველოს ბედის ძებნა იყო: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა და დაე გვახარონ,—ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“. საქართველოს ბედის მძებნელის მისია რომ შეესრულებინა ილიას, იცოდა რომ ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა ჩვენი ხალხის წარსული და აწმყო, ხასიათი და თვისება, ზნე და ჩვეულება, სულიერი წყობა და გონებრივი ავლადიდება...

აწმყოს გარდაქმნას, მომავლის მომზადებას, მხსნელის მოლოდინს შეეწირა ილიას სიცოცხლე, მაგრამ როცა იგი წინამურის ველზე განგმირული დაეცა, მას მისი ცხოვრების ძირითადი კითხვის „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?“ პასუხი ჯერ კიდევ მიღებული არ ჰქონდა...

როგორი იყო ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ილიას მომავალი საქართველო?

ეს საფუძველი იყო მთელი საქართველოს ძალთა ერთად შეერთება, ყველა ქართველის განურჩევლად წოდების, ერთად შეკავშირება, ერთი იდეალით გატაცება...

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში არ ყოფილა დიდი თუ პატარა მნიშვნელოვანი მოვლენა თუ ფაქტი, რომელსაც ილია მთელი თავისი შესაძლებლობებით არ გამოხმაურებოდა, მთელი თავისი ძალისხმევით გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის სასიკეთოდ დადებითად გადასაჭრელად...

ილია ჭავჭავაძემ სიცოცხლეშივე მოიპოვა მოწინავე ქართველი საზოგადოების საერთო აღიარება, უღრმესი პატივისცემა და დაფასება, ხოლო მისი მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ თანდათან უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ბუმბერაზი მოაზროვნის და მხატვრის, ნამოღვაწარის, მისი მდიდარი და მრავალდარგოვანი შემოქმედების მაღალი ღირებულებების, იმ დიდმნიშვნელოვანი მისიის ჭეშმარიტი აზრი, რომელიც მან ქართველი ხალხის სულიერ და გონებრივ აღორძინებაში შეასრულა.

სამშობლოსა და ქართველი ხალხის წინაშე დიდი, უმწიკვლო და ხანგრძლივი სამსახურისათვის ილია ჭავჭავაძე ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

მზია ცქიფურიშვილი

მათი შემოქმედებითი ქურა

ამ სათაურით, გაზეთ „თერჯოლის“ 2025 წლის №20 ნომერში, ერთი გვერდი დავუთმეთ მოსწავლეებს, რომელთა ნახატებითაც გაფორმდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის, „ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში დამზადებული სამახსოვრო კალენდარი ბარბარე მარუაშვილის, ნიტა კირკიტაძის, ვანო ძოწენიძის, ლიზი ფანჩულიძის, ნინი ვაშაყმაძის, მართა ტყეშელიაძის და ნატა კენჭოშვილის ნახატებით, მათივე ფოტოებით და დასმულ კითხვაზე პასუხით. ამ ნომერში გთავაზობთ მარიამ ქურცაძის, ნინი ღიბრაძის, ანასტასია რობაქიძის, მარიამ გაბადაძის, მარიამ ყიფიანის, ილია ამბროლაძე-სოკოლოვის ნახატებს, მათივე ფოტოებით და პასუხებით ერთადერთ კითხვაზე.

კითხვა: რა თქვით ამ ნახატით, რა ჩანაფიქრი განახორციელეთ, რამდენად უკავშირდება იგი პროექტს „ვირჩევ პროფესიას“.

მარიამ ქურცაძე, სოფელ ღვანკითის საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე.

მონაწილეობა მივიღე ხატვის კონკურსში, პროექტში „ვირჩევ პროფესიას“. ხატვა ძალიან მიყვარს, ის დედამ შემაყვარა. თავისუფალ დროს ძირითადად ხატვას ვუთმობ. უფრო ფერებით ხატვა მომწონს, იმიტომ რომ ფერადი სამყარო მიყვარს. ეს ჩემს ნახატშიც იგრძნობა. კონკურსიდან გამომდინარე არქიტექტურული ნამუშევარი უნდა შემექმნა და დავხატე ფერადი სახლები. ვფიქრობდი სითბო, ხალისი და სიყვარული მომეტანა თქვენამდე. ძალიან ვაფასებ არქიტექტორის პროფესიას, რადგან მათზე არის დამოკიდებული მყუდრო და ვიზუალურად ლამაზი სამყაროს შექმნა.

ნინი ღიბრაძე, თუზის საჯარო სკოლის (ვარდიგორის კორპუსი) მე-10 კლასის მოსწავლე (სწავლობს თერჯოლის სამხატვრო სკოლაში).

მონაწილეობა მივიღე რესურსცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტში„ ვირჩევ პროფესიას“. ჩემ მიერ შესრულებული ნახატი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არქიტექტურასთან. დავიწყე ფიქრი, თუ რა შეიძლებოდა დამეხატა ისეთი, რაც ნანახი მქონდა, რამაც აღმაფრთოვანა, და რომლის ისტორიაც ვიცოდი. მინდოდა რამე ისტორიული დამეხატა, სადაც ბუნებაც დიდ ადგილს დაიჭერდა. თან ისეთი ადგილი მინდოდა დამეხატა, რომელიც ჩვენს კუთხეში მდებარეობდა. სწორედ ამიტომ ავირჩიე კაცხის სვეტი.

კაცხის სვეტი ხომ ზეციდან მიმავალი საფეხურია. ეს არის ადგილი, სადაც გამეფებულ მარადიულ სიწყნარეში ღმერთის არსებობას იგრძნობ. თვალწარმტაცია. აქ შეგიძლია დაინახო, როგორ უერთდება ხმელეთი ზეცას.

ვფიქრობ, რომ ხატვა მხოლოდ ფერების შერწყმა არაა. ეს ის გზაა, რითაც შეგიძლია შენი სათქმელი გადმოსცე. როცა ხატვა დავიწყე, ვცდილობდი ზუსტად წარმომეჩინა კაცხის სვეტის დიდებულება და ისტორია, რადგან, ჩემი აზრით, ხელოვნება არა მხოლოდ ლამაზი, არამედ აზრიანიც უნდა იყოს.

ამ ნახატით მინდოდა მეჩვენებინა, რომ არქიტექტურა მხოლოდ შენობები და ფორმები არაა. ის მტკიცედაა ბუნებასთან შერწყმული და რაღაც ისტორიას გვიყვება.

ანასტასია რობაქიძე, სიქთარვის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე (სწავლობს თერჯოლის სამხატვრო სკოლაში).

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრში ყოველწლიურად ტარდება კონკურსები, წელს განხორციელდა პროექტი „ვირჩევ პროფესიას“ , რომლის მიზანია დახმარება გაგვიწიოს პროფესიის არჩევაში და კონკრეტულ სფეროში მოტივაცია აგვიმაღლოს.

ხატვა ძალიან მიყვარს და ამიტომაც მონაწილეობა მივიღე პროექტში. ჩემი სკოლა ამ პროექტში წარმოადგენდა „იურისპრუდენციას“ და მე გადავწყვიტე სამართლიანობის ქალღმერთ „თემიდას“ დახატვა.

ამ ნახატით ვთქვი, რომ ჭეშმარიტება ჩანს არა თვალით, არამედ გონებით. ნახატიც შესაბამისად ეხმაურება პროექტის იდეას - თვალახვეული ქალი, სასწორი და სამართლის წიგნი. ამ ელემენტებით ნახატი გამოსახავს იურისპრუდენციის არსს.

სამართლიანობა უნდა ემყარებოდეს კანონს, ცოდნას და მიუკერძოებელ გადაწყვეტილებებს.

მარიამ გაბადაძე, გოდოგნის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.

არც კი მახსოვს ხატვა როდის დავიწყე. ხატვა ჩემთვის ყველაფერია. უფრო მეტიც, სურვილი მაქვს ჩემი მომავალი პროფესიაც ხატვას დავუკავშირო.

2024-2025 წელს თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით განხორციელდა პროექტი „ვირჩევ პროფესიას“. მონაწილეობა მივიღე ხატვის კონკურსში თემაზე არქეოლოგია. ნახატით უნდა გამეცოცხლებინა არქეოლოგების მუშაობის პროცესი. თავდაპირველად მოვიფიქრე სიუჟეტი, წარმოვიდგინე გონებაში და შემდეგ ფურცელზე გადავიტანე, თუმცა ხატვის პროცესში უამრავი აზრი გაჩნდა. საბოლოოდ აღვწერე მიწაში ჩამარხული ისტორია, თუ როგორ პოულობენ არქეოლოგები სხვადასხვა ჭურჭელს, ან მის ნამსხვრევებს, ძველ ნივთებს, შრომის იარაღებს და ა.შ.

ჩემი ნახატის მოწონებამ და კალენდრის გვერდზე განთავსებამ თავდაჯერებულობა და მოტივაცია მომცა, ჩემი მომავალი ცხოვრების მიზნის ჩამოყალიბებაში.

მარიამ ყიფიანი, კერძო სკოლა „მზეკაბანის“ მე-7 კლასის მოსწავლე (სწავლობს თერჯოლის სამხატვრო სკოლაში).

მე ამ ნახატით მსურდა გამარჯვების, შრომის დაფასების და სიხარულის გადმოცემა, თასით ხელში გამოსახული ფეხბურთელი, მიღწეული მიზნის და ახდენილი ოცნებების სიმბოლოა.



ამ ნახატით ვთქვი, რომ წარმატება შრომით მიიღწევა და გამარჯვება არის თითოეული გადადგმული ნაბიჯის ჯილდო.

დავხატე ფეხბურთელის გამარჯვების მომენტი და ამით ვთქვი, რომ ფეხბურთი არ არის მხოლოდ ჰობი, არამედ რეალური პროფესიაა, რომელიც მოითხოვს შრომას, მიზანსწრაფულობას, ფიზიკურ მზადყოფნას და სიყვარულს საკუთარ საქმისადმი.

ილია ამბროლაძე-სოკოლოვი, თერჯოლის N1 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

მას შემდეგ, რაც გავიგე ამ პროექტის შესახებ, გადავწყვიტე, რომ ჩემთვის საინტერესო ყველა პროფესია გადამეტანა ნახატზე. შთაგონების წყაროდ იქცა ცნობილი ქართული მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა“. ამ ფილმის საშუალებით თავი მოვუყარე რამდენიმე პროფესიას: მევენახეობას და თავდაცვის ხელოვნებას.

ასევე ვთვლი, რომ ჩემს ნახატზე გამოსახული პროფესიების აღმნიშვნელი სიმბოლოები მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში.

კალენდარში შეტანილია საზანოს საჯარო სკოლის IX კლასის ყოფილი მოსწავლის ილია გამსახურდაშვილის ნახატი. იგი გარკვეული მიზეზის გამო გასულია სკოლიდან, დაკავშირება გაძნელებულია (მასზე ამავე თემაზე მომავალ ნომრებში).

ამასთან მინდა მადლობა გადავუხადო საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან შეყრილაძეს და სხვა თანამშრომლებს ამ პროექტის განხორციელებისთვის, მოსწავლეების მშობლებს (არდადეგების პერიოდში მათთან ვთანამშრომლობდი), სკოლების დირექტორებსა და კლასის ხელმძღვანელებს, ცხადია ამ საუკეთესო მოსწავლეებს. თითოეულმა კარგად და მიგნებულად თქვა სათქმელი.

მოამზადა ჟუჟუნა ცხადაძემ

თერჯოლელი ნორჩი მოჭადრაკეების მორიგი წარმატებები

მართა კუტალაძე საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორია

27-30 სექტემბერს, ქ. ქუთაისში, ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში 8, 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელსაც მაია ჩიბურდანიძის სახელობის ქუთაისის საჭადრაკო სკოლა მასპინძლობდა.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ყველა რეგიონიდან ჩამოსულმა, დაახლოებით 400-მდე მოჭადრაკემ სხვადასხვა კატეგორიაში.

8 წლამდე გოგონათა შორის წარმატებით იასპარეზა ა(ა)იპ სპორტული სკოლის პატარა მოჭადრაკემ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ მართა კუტალაძემ, რომელმაც მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, მწვრთნელი—ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით...

„თერჯოლა“ საქართველოს ჩემპიონატში პირველ გამარჯვებას ულოცავს ნორჩ მოჭადრაკეს მართა კუტალაძეს და გამარჯვებებს უსურვებს მომავალ ასპარეზობებში.

გეგა გაბრიჭიძე ამჯერად პრიზიორია და მის პირველობასაც მალე ველით!

გეგა ლეგენდარულ მოჭადრაკე ნანა იოსელიანთან ერთად

გასულ ორ თვეში სხვადასხვა საჭადრაკო ტურნირებზე წარმატებით იასპარეზა ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლის მოჭადრაკემ, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე გეგა გაბრიჭიძემ—მწვრთნელი ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე.

ქ. ტყიბულში, სპორტის სასახლეში, ჩატარდა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი—„ტყიბული 2025“, სადაც გამარჯვებისათვის საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სხვადასხვა კატეგორიის 120 მოჭადრაკე იბრძოდა, მათ შორის 9 უცხო ქვეყნის წარმომადგენელი.

ტყიბულის საჭადრაკო ფესტივალში 12 წლამდე ჭაბუკთა შორის გეგა გაბრიჭიძემ საპრიზო, მეორე ადგილი დაიკავა. ფესტივალის დახურვის ცერემონიალს დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ზაზა ლომინაძე და ადგილობრივი ხელისუფლებისა და ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლები.

გამარჯვებულებს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში დიპლომები, თასები, მედლები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

გეგა გაბრიჭიძეს, ფესტივალის მეორე ადგილის პრიზიორს, 12 წლამდე მოჭადრაკეთა შორის ფესტივალის მედალი, დიპლომი და ფულადი ჯილდო გადაეცა, დაჯილდოვდა აგრეთვე მწვრთნელი, მერი ჩაფიჩაძე.

***

გეგამ წარმატებით იასპარეზა 21-22 სექტემბერს ქ. ზესტაფონში („ჯემალ მახათაძის IX მემორიალი ჭადრაკში 2025“), სადაც მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ყველა რეგიონის 130-მდე წარმომადგენელი.

ტურნირი მიმდინარეობდა შვეიცარული სისტემით 7 ტურად, თითოეული მონაწილის რეგლამენტი შეადგენდა 15 წთ-ს 10 წამის დამატებით.

12 წლამდე ჭაბუკთა შორის გეგა გაბრიჭიძემ 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 5 ქულა და აქაც მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ტურნირის მიმდინარეობის და მემორიალის დახურვის ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე, ლეგენდარული მოჭადრაკე ნანა იოსელიანი და ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი ქალთა შორის, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მრავალგზის გამარჯვებული, საჭადრაკო ოლიმპიადისა და ევროპის გუნდური ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი მერი არაბიძე.

ზესტაფონის ტურნირიდან გეგა გაბრიჭიძე თასით, დიპლომით, მედლითა და ფულადი ჯილდოთი ხელდამშვენებული დაბრუნდა.

***

18 ოქტომბერს, ქ. ვანში, ჩატარდა „ნინო ხურციძის მემორიალი ჭადრაკში 2025“. ტურნირი მიმდინარეობდა შვეიცარული სისტემით 7 ტურად, მასში ყველა რეგიონიდან 200 მოჭადრაკე მონაწილეობდა. გეგა გაბრიჭიძემ ამ ტურნირშიც იმარჯვა, მან 12 წლამდე მოჭადრაკეთა შორის კატეგორიაში 7 შესაძლებლობიდან 5 ქულა მოიპოვა და ისევ საპრიზო, ამჯერად მე-3 ადგილი დაიკავა.

ტურნირის მიმდინარეობას ვანის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გოგორიშვილი, მერის მოადგილე შოთა გიორგაძე და ვანის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე გიორგი ავანაძე, ასევე ნინო ხურციძის ოჯახის წევრები დაესწრნენ.

გამარჯვებულები სხვადასხვა კატეგორიაში თასებით, მედლებით და დიპლომებით, ასევე ფულადი პრიზით დაჯილდოვდნენ.

„თერჯოლა“ გამარჯვებებს ულოცავს ნორჩ მოჭადრაკეს გეგა გაბრიჭიძეს, მის მწვრთნელს, მერი ჩაფიჩაძეს და ახალ წარმატებებს უსურვებს მათ.

მზია ცქიფურიშვილი

4 წლის თომა კუბლაშვილი გლანდების ოპერაციის შემდეგ განვითარებული გართულებების შედეგად გარდაიცვალა

ცნობილია, რომ ოპერაციის შემდეგ ბავშვი სახლში გამოწერეს, რის შემდეგაც მდგომარეობა გართულდა და დედამ ისევ საავადმყოფოში წაიყვანა, სადაც გარდაიცვალა.

პატარა თომას გარდაცვალებამ შეძრა სრულიად საქართველო. უამრავი ადამიანი გამოეხმაურა მომხდარს—უსამძიმრებენ მწუხარებაში მყოფ ოჯახს, სანათესაოს, ახლობლებს. ისინი გამოთქვამენ კონკრეტულ მოსაზრებებს ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად.

ჩვენც მათთან ერთად ვწუხვართ პატარა თომას—ხვალინდელი საქრთველოს მომავალი კარგი შვილის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

მარადიული ნათელი ამ პატარა ანგელოზის სულს.

გაზეთი „თერჯოლა“

ვიტალი ცერცვაძის გახსენება



„სიცოცხლე ვისთვის ტანჯვაა
ვისთვის კი ნათლის სვეტია,
ამ ტანჯულ წუთისოფელში
თურმე სიკვდილიც ბედია“.

შენი ბედი კი მოულოდნელი, უავადმყოფო, უეცარი სიკვდილი ყოფილა. ყველა ადამიანი მოკვდავია. ჩვენც მოკვდავნი ვართ, მაგრამ ისეთი, როგორიც შენი იყო, ორჯერ სიკვდილის ტოლფასია. 29 მაისი (დღით ამაღლება) საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის. ცუდად გახდომა და... იმავ დღეს შენმა სიკვდილმა შეძრა შენი ოჯახი, კეთილ-ნათესავები, მეზობლები, მეგობრები... დატოვე ამქვეყნიური წუთისოფელი და წახვედი იქ, საიდანაც ვერავინ და არავინ აღარ ბრუნდება. წახვედი და დაგვიტოვე მოურჩენელი გულისტკივილი. შენნაირ ადამიანზეა ნათქვამი მასთან სიკვდილს რა უნდოდაო, ანდა კიდევ „ღმერთსაც კარგი უნდაო“.

კეთილი, უბოროტო, ავკარგიანი, მოყვასის მოყვარული, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, ზომიერი იუმორით ყველა შენს ირგვლივ მყოფს თავს აყვარებდი.

ოთხ ათეულ წელზე მეტი ემსახურე მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. გამოირჩეოდი დიდი პასუხისმგებლობითა და შრომისმოყვარეობით, იყავი თავმდაბალი, კარგი მეუღლე და კარგი მამა.

ტკივილიანი და თვალცრემლიანი იყო წელს შემოდგომა შენს ნაამაგარ ოჯახში. შენ არსაიდან ჩანდი. არც სიმინდის ხვავს უჯექი სარჩევად, არც ვაზს კრეფდი, ისე რიგად რომ გიყვარდა და აღარც მარანში ფუსფუსებდი. ძნელია გაუძლო ამ მოურჩენელ ტკივილს, რაც შენმა წასვლამ მოგვაყენა. რა ვქნათ, ასეთი ყოფილა შენი ბედი. იძინე მშვიდად მარადიულ სამყაროში და გქონდეს იმედი, რომ არაფერი დაგაკლდება ხილული ქვეყნიდან, ყველაფერს ვაკეთებთ შენი ოჯახი შენს უკვდავსაყოფად.

20 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, მოვედით შენს საფლავზე, აგინთეთ წმინდა სანთლები და ღმერთს შევთხოვეთ რომ ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული.

მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი თავასის მიწა.

ოჯახი

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლიკა ქარქაშაძეს ბაბუის

ჯემალი მემანიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ექიმი-სტომატოლოგი

გიორგი მაჩიტიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ იორამ აბულაძეს მამის

გივი აბულაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნობენ კახა კუპატაძეს დისშვილის

გიგა ავალიანის

გარდაცვალების გამო.

შემოდგომის, შრომის და სიყვარულის დღესასწაული

7 ☞

საპატიო მოქალაქეების წარდგენა

კვლავ იხმეს სცენაზე მანუჩარ რობაქიძე და გამოცხადდა ღირსეულ ადამიანთა გვარ-სახელები, მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებით. აი ისინი, ამიერიდან თერჯოლის საპატიო მოქალაქეები: **მეუფე გიორგი (შალამბერიძე) თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტი, ნიკოლოზ ბილანიშვილი—ექიმი, ნუგზარ გამყრელიძე—ჟურნალისტი, იორამ აბულაძე—ბიზნესმენი, ქველმოქმედი, კონსტანტინე ჩარექიშვილი—ვეტერანი სპორტსმენი, ნიკა არაბიძე—შოუმენი, ავთანდილ კოჩაძე—ბიზნესმენი** (ვრცლად მასალას მათი ბიოგრაფიების და განცდა-სამადლობლების შესახებ დრო და დრო, მომავალ ნომრებში).

სცენა დაეთმო სამუსიკო სკოლასთან არსებულ ბავშვთა სიმღერის ანსამბლს „ჭიუხი“ (ხელმძღვანელები გულთამზე კუბლაშვილი, რამაზ მემანიშვილი), ქორეოგრაფიულ ანსამბლს „იმერეთი“.

* * *

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის წამყვანი სოლისტი ლევან მაკარიძე თერჯოლელია, ჩვენ ვამაყობთ, რომ მან არაერთი საინტერესო და დამახასიათებელი სახე შექმნა საოპერო სპექტაკლებში, იგი იპყრობს მსოფლიოს წამყვანი თეატრების სცენას. განუმეორებელია მისი „ღვინოვ კახურო“, მადლობა მას, რომ შეასრულა იგი და რომ იყო ჩვენთან.

თერჯოლობის ღონისძიება მრავალჟამიერმა დაასრულა. 19 საათიდან ჯგუფმა „ურსამ“ დაიპყრო სცენა, გაიმართა გალა კონცერტი, იყო საზეიმო ფოიერვერკი.

თასი ძევრელებს დარჩათ

სრულ 12 საათზე „თერჯოლობის“ პირველი ღონისძიება თერჯოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა მინი ფეხბურთში. ლაშა გოგიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ მუნიციპალურ ტურნირში ყველა სოფლის ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობდა, ფინალში კი ერთმანეთს საზანოსა და ძევრის ფეხბურთელები დაუპირისპირდნენ.

შეხვედრის დაწყებამდე გულშემატკივრებს საშუალება ჰქონდათ ენახათ გოგონათა საჩვენებელი გამოსვლა ტანვარჯიშში.

მატჩის წინ ფეხბურთელებმა და ფეხბურთის მოყვარულებმა მოისმინეს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

* * *

ორივე ტაიმი დაძაბულად მიმდინარეობდა, გამოიკვეთა ძევრელ ფეხბურთელთა უპირატესობა, მაგრამ საზანოელებმა, რომლებიც პირველად გავიდნენ ფინალში, აჩვენეს, რომ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდებიან.

მატჩი ძევრელების გამარჯვებით დამთავრდა, ანგარიშით 2:0. საზანოელთა კარში ორივე ბურთი კაკო აბულაძემ გაიტანა.

მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა მიულოცეს გუნდებს ფინალში გასვლა, ძევრელებს გამარჯვება, მომავალი წარმატებები უსურვეს გუნდებს, მადლობა გადაუხადეს ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, გულშემატკივრებს. ორივე გუნდს მედლები და სიგელები, ძევრელებს კი გარდამავალი თასიც გადასცეს. ძევრის სკოლის დირექტორმა, მანუჩარ ფანჩულიძემ ძევრელი ბიზნესმენის—მალხაზ გიორგაძის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო გადასცა გუნდს. გაამხნევეს საზანოელები, რომ არც მეორე ადგილია ხელწამოსაკრავი, მოგება და წაგება ძმებიაო...

ორი წლის წინ, ამ სტადიონზე, 2023 წელს, ფინალური მატჩის დაწყებამდე, ძევრელმა თორნიკე ფანჩულიძემ ხელი სთხოვა საზანოელ თამარ თავბერიძეს. თერჯოლის ფეხბურთის სტადიონზე ჩაეყარა საფუძველი ახალი ოჯახის შექმნას.

2025 წლის „თერჯოლობაზე“, ფეხბურთის მსვლელობისას, ორმა ახალგაზრდა ქალმა მიიქცია ყურადღება, მათ თითქმის ერთნაირი ასაკის ჩვილები ჰყავდათ ხელში. ერთი თამარ თავბერიძე აღმოჩნდა, ხუთი თვის მატილდა ფანჩულიძესთან ერთად გულშემატკივრობდა ძევრს და მეუღლეს თორნიკეს, თავისახლის გუნდსაც—საზანოელ ფეხბურთელებს (ნეტა რომელი გუნდის გამარჯვება უფრო უნდოდა!). მეორე ნია ეჯოშვილიც ძევრელია, მასაც 5 თვის შვილი ჰყავს სანდრო აბულაძე. ძევრს და მეუღლეს გულშემატკივრობდა. გაიხარა ნიამ, მისმა მეუღლემ კაკო აბულაძემ საზანოელთა კარში ორი ბურთი გაიტანა.

* * *

დამთავრდა „თერჯოლობა“. გვიან დაიშალა ხალხი. დასკვნითი გალა კონცერტის მსვლელობისას, საზეიმო ფოიერვერკის შემდეგაც შემორჩა სკვერს რამდენიმე კაცი. გადამქრალი ნაკვერჩხალი მაყალში ისევ გაღვივდა, გაცხელდა ხაჭაპურები და მწვადები, გამარჯვებული ღვინის მეპატრონეებს კითხულობდნენ, ღვინის დაჭაშნიკება სურდათ, მაგრამ...

ბედნიერი იყო 2025 წლის 18 ოქტომბერს ყველა თერჯოლელი, ალბათ სტუმრებიც, ყველას ერთმანეთი გვიყვარდა, სადღაც ხითხითებდა მთვრალი ბახუსი, ვიღაცამ ჭინჭილა მოითხოვა, ჭინჭილა, რომელმაც გოლიათი მსმელი გულბაათ ჭავჭავაძეც კი წააქცია. ყველა იყო შეზარხოშებული, მაგრამ არა მთვრალი, „გიორგობის თვეში, გულს გაუდის რეჩხი, გინდ ჩასულხარ იმერეთში, გინდა სამოთხეში“.

P.S. ყველა—სტუმარიც და მასპინძელიც ამბობდა, რომ თერჯოლობა კარგად იყო ორგანიზებული, ყველა დეტალი გათვლილი, დროსა და სივრცეში ჩატეული. ყველაფერში სული და გული იყო ჩადებული.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, თერჯოლობის შემდეგ, პირველივე დღეს, თერჯოლის ცენტრი, სკვერი და მიმდებარე ტერიტორია ისე იყო დაკრიალებულ-დასუფთავებული, თითქოს აქ ბუზსაც არ გადაეფრინოს...

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

RESGE22

ანგარიში

8 2633 7499

ს/კ 231948872